თერჯოლის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს ბიუროს სხდომის
ო ქ მ ი № 9

ქ.თერჯოლა

4 ივნისი 2024 წელი

ან. ჭანტურიძის ქ. №7

სხდომას უძღვებოდა: საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ბარათაშვილი.

სხდომას ესწრებოდნენ ბიუროს წევრები: 1. გიორგი ბარათაშვილი, 2. დავით გოგბერაშვილი, 3. ჯემალ ისაკაძე, 4. ბადრი ბუცხრიკიძე, 5. თემური ქოჩიაშვილი, 6. ბიძინა ბუცხრიკიძე, 7. შალვა ჭანკვეტაძე, 8. გოჩა ვერულაშვილი, 9. ნინო ჩხიკვაძე, 10. ტარიელ ფანჩულიძე.

სხდომას არ ესწრებოდნენ: 1. გრიგოლ გიორგაძე, 2. კახა ბუცხრიკიძე.

საკრებულოს ბიუროს სიითი შემადგენლობა: 12წევრი
დამსწრე წევრთა რაოდენობა: 10
კვორუმი: 7 წევრი

დღის წესრიგი:

1. ,,თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 13 დეკემბრის №30 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე (თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის წერილი № 28-282415285, 31.05.2024 წ.);

   მომხს.: თ ქოჩიაშვილი

2. ,,თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის შემოსულობებსა და გადასახდელებში ასახვის შესახებ“ ინფორმაცია (თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის წერილი № 28-282414610, 25.05.2024 წ.).

   მომხს. : თ. ქოჩიაშვილი

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 10, წინააღმდეგი - 0

დღის წესრიგი დამტკიცდა წარმოდგენილი სახით.

1.

მოისმინეს: მომხსენებელმა, საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ- თემურ ქოჩიაშვილმა ბიუროს წევრებს გააცნო ,,თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 13 დეკემბრის №30 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე დადგენილების პროექტი - 2024 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის ცვლილება გამოიწვია მთავრობის განკარგულებამ და ხარჯვითი ნაწილის კორექტირებამ.

ბიუჯეტის მთლიანი მოცულობა გაიზარდა -159.0 ათასი ლარით და შეადგენს 30669.7 ათას ლარს.

საშემოსავლო ნაწილი გაიზარდა 170.0 ათასი ლარით (გრანტი გაიზარდა 160,0 ათასი ლარით და სხვა არასაგადასახადო შემოსავლები გაიზარდა 10,0 ათასი ლარით).

საშემოსავლო ნაწილი შემცირდა 11.0 ათასი ლარით. გრანტი შემცირდა 10.8 ათასი ლარით და ნაშთი შემცირდა 0.2 ათასი ლარით.

ხარჯვითი ნაწილი შემცირდა 41.0 ათასი ლარით. მ/შორის:

მერიის დაფინანსება შემცირდა 30.0 ათასი ლარით.

კომუნალური მეურნეობის განვითარების დაფინანსება შემცირდა 1.0 ათასი ლარით.

სოციალური დაცვა შემცირდა 10.0 ათასი ლარით(მიზნობრივი ტრანსფერი).

ხარჯვითი ნაწილი გაიზარდა 200.0 ათასი ლარით .მ/შორის:

გზებისა და ხიდების, მიმდებარე ტერიტორიების მშენებლობის, რეკონსტრუქციისა და მოვლა შენახვის ხარჯი გაიზარდა 60.0 ათასი ლარით.

დასუფთავებისა და კეთილმოწყობის სამსახურის დაფინანსება გაიზარდა 100.0 ათასი ლარით.

სარეზერვო ფონდი გაიზარდა 30.0 ათასი ლარით.

სოციალური დაცვა გაიზარდა 10.0 ათასი ლარით.

აზრი გამოთქვეს: ბიუროს წევრებს აზრი არ გამოუთქვამთ.

კენჭისყრის შედეგები: მომხრე -9 , წინააღმდეგი - 1

გადაწყვიტეს: შევიდეს საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში საკითხი ,,თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 13 დეკემბრის №30 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე (თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის წერილი № 28-282415285, 31.05.2024 წ.).

2.

მოისმინეს: მომხსენებელმა, საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ- თემურ ქოჩიაშვილმა ბიუროს წევრებს გააცნო ,,თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2024 წლის

ბიუჯეტის შემოსულობებსა და გადასახდელებში ასახვის შესახებ“ ინფორმაცია - ბიუჯეტის მთლიანი მოცულობა გაიზარდა 38.3 ათასი ლარით (გრანტი) და შეადგენს 30510.7 ათას ლარს.

საშემოსავლო ნაწილი გაიზარდა 117.6 ათასი ლარით (გრანტი).
საშემოსავლო ნაწილი შემცირდა 79.2 ათასი ლარით (გრანტი).
ხარჯვითი ნაწილი შემცირდა 79.2 ათასი ლარით. სატენდერო ეკონომია.
გზებისა და ხიდების, მიმდებარე ტერიტორიების მშენებლობის, რეკონსტრუქციისა და მოვლა შენახვის ხარჯი შემცირდა 71.6 ათასი ლარით(სატენდერო ეკონომიები).
წყლის სისტემის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია შემცირდა 7.6 ათასი ლარით.
ხარჯვითი ნაწილი გაიზარდა 117,6 ათასი ლარით.
გზებისა და ხიდების, მიმდებარე ტერიტორიების მშნებლობის, რეკონსტრუქციისა და მოვლა შენახვის ხარჯი გაიზარდა 117,6 ათასი ლარით.

აზრი გამოთქვეს: ბიუროს წევრებს აზრი არ გამოუთქვამთ.

კენჭისყრის შედეგები: მომხრე -9, წინააღმდეგი - 1

გადაწყვიტეს: შევიდეს საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში საკითხი თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის შემოსულობებსა და გადასახდელებში ასახვის შესახებ ინფორმაცია (თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის წერილი № 28-282414610, 25.05.2024 წ.).

თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ- გიორგი ბარათაშვილმა 2024 წლის 4 ივნისის საკრებულოს ბიუროს სხდომა დახურულად გამოაცხადა.

საკრებულოს თავმჯდომარე

გიორგი ბარათაშვილი